ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №12

04.05.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **გიორგი გაბაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ირაკლი ნადირაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ვლადიმერ ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
2. **რუსუდან მირზიკაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. **თამარ კაციტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. **ეკა ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე

სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი ხმალაძის 2018 წლის 11 აპრილის №12-031810163-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი ხმალაძის 2018 წლის 11 აპრილის №12-0318010165-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 23 აპრილის №12-031811321-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი ხმალაძის 2018 წლის 11 აპრილის №12-031810163-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - AR1578306; AR1579003; AR1573797; AR1583530).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 4 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, სამგორის რაიონში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.480) (6 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილების შესახებ (AR1578306).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: ბ. ბედიაშვილი) AR1578306 განცხადებით მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.480; ფართობი: 313 კვ.მ.) ნაწილზე 6 კვ.მ. ფართობზე. ხოლო დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის 1-ლი საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილში არ არის ასახული №01.19.36.014.480 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ფართობი (313 კვ.მ.), რაც საჭიროებს გასწორებასა და განმარტებითი ბარათის ჩანაწერთან შესაბამისობაში მოყვანას.

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის 1-ლი საკითხის (წინადადების) განმარტებითი ბარათის („ა" პუნქტის „ა" ქვეპუნქტი) ჩანაწერთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროების თაობაზე.

2) **კენჭი ეყაროს** ქ. თბილისში, სამგორის რაიონში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.480) (6 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, მაისურაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.033.025) (635 კვ.მ.) ზოგადი საცხოვრებელი ზონის სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1579003).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: მ. ტაველიშვილი) AR1579003 განცხადებით მოითხოვა ზოგადი საცხოვრებელი ზონის სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, მაისურაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.033.025; ფართობი: 1477 კვ.მ.) ნაწილზე 365 კვ.მ. ფართობით. ხოლო დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის მე-2 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილში არ არის ასახული №01.19.39.033.025 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ფართობი (1477 კვ.მ.), რაც საჭიროებს გასწორებასა და განმარტებითი ბარათის ჩანაწერთან შესაბამისობაში მოყვანას.

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის მე-2 საკითხის (წინადადების) განმარტებითი ბარათის („ა" პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი) ჩანაწერთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროების თაობაზე.

2) **კენჭი ეყაროს** ქ. თბილისში, მაისურაძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.033.025) (635 კვ.მ.) ზოგადი საცხოვრებელი ზონის სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილების საკითხს (AR1579003).

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „გ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩა №2 არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.010) და მიმდებარედ (1310 კვ.მ.), ქ. თბილისში, ხაზინა №5 არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.008) ფარგლებში და მიმდებარედ (45 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ** (AR1573797).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: რ. სვანიძე) AR1573797 განცხადებით მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 1-ისა და საცხოვრებელი ზონა 5-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №2-ში და ხაზინის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: (№01.15.04.020.010, ფართობი: 8252 კვ.მ. და №01.15.04.020.008, ფართობი: 711 კვ.მ.) 1310 კვ.მ. და 45 კვ.მ. ფართობზე. საპროექტო ტერიტორიები მდებარეობს ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, ხოლო №01.15.04.020.008 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. არსებული მდგომარეობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე, სატრანსპორტო ზონა 1-ის გავრცელება ხელს უშლის ისტორიული განაშენიანების შესაძლებლობას, იმ საპროექტო ფუნქციიდან გამომდინარე, რომელსაც გეგმავს თბილისის განვითარების ფონდი.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - №01.15.04.020.010 და №01.15.04.020.008 საკადასტრო მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების, ასევე, საპროექტო ტერიტორიის შემდგომი განვითარების პროექტის-ესკიზის თაობაზე.

ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაციით, №01.15.04.020.010 და №01.15.04.020.008 საკადასტრო მიწის ნაკვეთები კერძო პირების თანასაკუთრებაშია, ხოლო საპროექტო ტერიტორიის შემდგომი განვითარების პროექტი და/ან ესკიზი დაინტერესებულ პირს წარმოდგენილი არ აქვს.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში მოქცეულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, საპროექტო ტერიტორიის შემდგომი განვითარების პროექტის (ესკიზის) გარეშე, ფუნქციური ზონის (სატრანსპორტო ზონა 1; საცხოვრებელი ზონა 5) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (მაღალი ინტენსივობის განაშენიანების ზონით) ცვლილების მიზანშეუწონლობის თაობაზე.

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში მიწის ნაკვეთებსა და მათზე განთავსებულ შენობებზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოების თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსთან შეთანხმებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩა №2 და ხაზინა №5 არსებული ნაკვეთებზე არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით არ არის რეკომენდებული საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე, რადგან, შესაძლებელია, საბჭომ არ გაითვალისწინოს დაინტერესებული მხარის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში არსებული ტერიტორიების განვითარების პროექტი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, საკითხის განხილვა გადაიდოს საპროექტო ტერიტორიის შემდგომი განვითარების პროექტის (ესკიზის) საბჭოსთან შეთანხმებისა და შეთანხმებული პროექტის (ესკიზის) კომისიისთვის წარმოდგენამდე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **გადადებული იქნას** ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩა №2 არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.010) და მიმდებარედ (1310 კვ.მ.), ქ. თბილისში, ხაზინა №5 არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.008) ფარგლებში და მიმდებარედ (45 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების საკითხის განხილვა დამატებითი შესწავლისთვის, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის (საპროექტო ტერიტორიის შემდგომი განვითარების პროექტი-ესკიზის) წარმოდგენამდე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - **ქ. თბილისში, ზ. ვეშაპურის №15 არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.02.024.043) ნაწილზე (13 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ზოგადი საცხოვრებელი ზონით ცვლილების შესახებ (AR1583530).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საკადასტრო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითებისას დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, წარმოდგენილი დასაბუთებით, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: ნ. ცოცხალაშვილი) AR1583530 განცხადებით მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონით ცვლილება ქალაქ თბილისში, ზ. ვეშაპურის №15-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.02.024.043, ფართობი 64 კვ.მ.) ნაწილზე 13 კვ.მ. ფართობზე. ხოლო განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მიწის ნაკვეთის საკადასტრო მიწის ნაკვეთის კოდი (№01.16.02.024.041) მითითებულია შეცდომით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის მე-4 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილში არ არის ასახული №01.16.02.024.043 საკადასტრო მიწის ნაკვეთის ფართობი (64 კვ.მ.), რაც საჭიროებს გასწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის მე-4 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილი საჭიროებს გასწორებას.

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების

საინფორმაციო მასალის მე-4 საკითხის (წინადადების) სარეზოლუციო ნაწილის გასწორების (საკადასტრო კოდის მითითებისას დაშვებული შეცდომის, ასევე, დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის მე-4 საკითხის (წინადადების) განმარტებითი ბარათის („ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტი) ჩანაწერთან შესაბამისობაში მოყვანის) საჭიროების თაობაზე.

2) **კენჭი ეყაროს** ქ. თბილისში, ზ. ვეშაპურის №15 არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.02.024.043) ნაწილზე (13 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის ზოგადი საცხოვრებელი ზონით ცვლილების საკითხს **(AR1583530).**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი ხმალაძის 2018 წლის 11 აპრილის №12-031810163-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „გ" ქვეპუნქტით წარმოდგენილი საკითხის (AR1573797) განხილვა **გადადებული იქნას** დამატებითი შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის (საპროექტო ტერიტორიის შემდგომი განვითარების პროექტი-ესკიზის) წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი ხმალაძის 2018 წლის 11 აპრილის №12-031810163-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადების - AR1578306; AR1579003; AR1583530) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი ხმალაძის 2018 წლის 11 აპრილის №12-0318010165-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 8 წინადადება - AR1552999; AR1547662; AR1563529; AR1533785; AR1539693; AR1556071; AR1542403; AR1554927).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 8 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№72.16.23.737, 72.16.23.694, 72.16.23.855, 72.16.15.633, 72.16.15.632, 72.16.15.637, 72.16.23.896) და მათ მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (2122 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის (საცხოვრებელი ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით) ცვლილების შესახებ (AR1552999).**

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, წმ. თევდორეს უბანში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.024.047, 01.72.14.024.042, 01.72.14.024.399, 01.72.14.024.041, 01.72.14.024.045) და მათ მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (ფართობი: 1150 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 1-ითა და საცხოვრებელი ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1547662).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხარაძის ქუჩა №2ა-ში, ქერჩის ქუჩა №1ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.130) (ფართობი: 5913 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 6-ის სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1563529).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ „ავიაშენში“, ქ. თბილისში, მიხეილ ვაშაკიძის ქუჩა №40-ში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.17.006.526,

01.11.17.023.023, 01.11.17.023.024) (1086 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონით ცვლილების შესახებ (AR1533785).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ე" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5) - ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ჭონქაძის ქუჩა №6-ში, გერგეთის ქუჩა №6-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №№01.15.05.081.006) და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (233 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის სარეკრეაციო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1539693).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 6) - ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი №20-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.326) (294 კვ.მ.) სპეციალური ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონით ცვლილების შესახებ (AR1556071).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 7) - ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლება „ა“ მიკრორაიონში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.104) (53 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (AR1542403).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 8) - ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, სალხინოს ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.16.03.014.018) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (299 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონით ცვლილების შესახებ (AR1554927).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი ხმალაძის 2018 წლის 11 აპრილის №12-031810165-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 8 წინადადების - AR1552999; AR1547662; AR1563529; AR1533785; AR1539693; AR1556071; AR1542403; AR1554927) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 23 აპრილის №12-031811321-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა (მომხსენებლები: რ. მირზიკაშვილი, ე. ცეცხლაძე).

მომხსენებლების (რ. მირზიკაშვილი და ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის მომზადება განაპირობა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საჭიროებამ, რაც წარმოდგენილია 2 წინადადების სახით.

დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით (განმარტებითი ბარათის პირველი პუნქტით) გათვალისწინებული წინადადება წარმოადგინა ქ-ნმა რუსუდან მირზიკაშვილმა.

მომხსენებლის (რ. მირზიკაშვილი) ინფორმაციით, თბილისის განვითარების ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ქაოტური განაშენიანებისგან დაცვა და ამ მიმართულებით ქალაქის სწორი ურბანული პოლიტიკის განსაზღვრა. შეიძლება ითქვას, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია ერთ-ერთი გაუნაშენიანებელი არეალია, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მშენებლობებისადმი მოთხოვნა გაზრდილია. ქალაქის პრიორიტეტია, სწორი ქალაქგეგმარებითი ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დანართით (დანართი 4) განსაზღვრულ ტერიტორიაზე როგორც ბუნებრივი ლანდშაფტის და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფას, ისე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე დასაშვები მშენებლობების

პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ეკოლოგიური თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია კომპლექსური და დაგეგმილი ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან იქნას აცილებული ლისის ტბის ეკოსისტემის დარღვევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ლისის ტბა საზრდოობს მიწისქვეშა წყლებით და დაუგეგმავმა განაშენიანებამ (მშენებლობებმა), შესაძლოა, გამოიწვიოს ამ არხების ჩაკეტვა და ყველაზე უარეს შემთხვევაში, ლისის ტბის დაშრობა. ბოლო პერიოდში, დაინტერესებული პირები (განმცხადებლები) ძირითადად მრავალბინიანი, მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის ნებართვების გაცემას ითხოვენ, რის გამოც, საქალაქო სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, დროებით, ჩარჩო-გეგმის შემუშავებამდე, დაწესდეს შესაბამისი რეგულაციები, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელთა და ქალაქის ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დანართი N4-ით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავებამდე, აღნიშნულ ტერიტორიაზე შეიზღუდება:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება;

ბ) დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა;

გ) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით;

დ) მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა);

პროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება:

ა) დანართი N4-ით განსაზღვრულ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე იმ საცხოვრებელ ზონებზე (სზ), რომელზეც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა" და რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა (წითელი ხაზ(ებ)ი) და განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები);

ბ) კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე.

გ) მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის

ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე.

მომხსენებლის (რ. მირზიკაშვილი) მიერ მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა რ. სოხაძემ, ბ-ნმა დ. უჯმაჯურიძემ, ბ-ნმა ნ. ვაჩეიშვილმა - ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავების ვადების თაობაზე.

მომხსენებლის, ქ-ნი რუსუდან მირზიკაშვილის ინფორმაციით, საქალაქო სამსახურს შემუშავებული აქვს ტექნიკური დავალება ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავების შესახებ და უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი (აუქციონი). აუქციონის ჩატარების შემდგომ, გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების დადებიდან, სავარაუდოდ, 4-6 თვეში უნდა შესრულდეს სამსახურის მიერ დაკვეთილი სამუშაოები.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა დ. უჯმაჯურიძემ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავების კონკრეტული ვადის მითითების აუცილებლობის თაობაზე.

ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომელიც დაეთანხმა ბ-ნი დ. უჯამჯურიძის წინადადებას და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში აუცილებლად უნდა იქნას გაწერილი კონკრეტული ვადა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნი რ. სოხაძის განმარტებით, ტექნიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი აისახოს და გაიწეროს პირველი მუხლის ,,ა.ბ" ქვეპუნქტით წარმოდგენილ ცვლილებაში, მე-19 მუხლის მე-5 პუნქტად და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3, მე-4 და <u>მე-5 პუნქტები</u>

3. დანართი N4-ით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავებამდე აღნიშნულ ტერიტორიაზე შეზღუდულია:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება;

ბ) დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა;

გ) ამ დადგენილებით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით;

დ) მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა);

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება დანართი N4-ით განსაზღვრულ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ:

ა) საცხოვრებელ ზონებზე (სზ), რომლისთვისაც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა" და რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა (წითელი ხაზ(ებ)ი) და განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები);

ბ) მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილია კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის;

გ) მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე;

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ვრცელდება ასევე იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიმართაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაინტერესებული პირების განცხადებები, თუმცა ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ამ პუნქტის ამოქმედების დროისათვის მიღებული არ არის."

შესაბამისად, დადგენილების პროექტის მე-3 მუხლი უნდა განისაზღვროს მე-2 პუნქტად.

ბ-ნმა გ. ტყელამაძემ ასევე ისაუბრა და დაასაბუთა დადგენილების პროექტში კონკრეტული ვადის თაობაზე ჩანაწერის გაკეთების აუცილებლობის შესახებ, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული სამუშაო პროცესების უკეთესად აღქმას დათქმულ ვადაში.

მომხსენებლის ქალბატონი რუსუდან მირზიკაშვილის განმარტებით, ბუნებრივია, რომ სამუშაო პროცესში გამოვლინდეს დამაბრკოლებელი გარემოებანი, თუნდაც, ტექნიკური თვალსაზრისით, მაგრამ საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, აუცილებელია სამართლებრივი რეგულაციების დაწესება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. მომხსენებელი დაეთანხმა გამომსვლელების წინადადებებს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და „ჩარჩო გეგმის" შემუშავების შესახებ კონკრეტული ვადის გაწერის, ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის ჩანაწერის, ამავე დადგენილების პროექტის პირველი მუხლის

,,ა.ბ" ქვეპუნქტით წარმოდგენილ ცვლილებაში, მე-19 მუხლის მე-5 პუნქტად განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **დადგენილების პროექტის** მე-2 მუხლის შინაარსი განისაზღვროს N20-105 დადგენილებით დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის'' მე-19 მუხლის მე-5 პუნქტად, შესაბამისად, გაიწეროს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის ,,ა.ბ" ქვეპუნქტში და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) მე-19 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3, მე-4 და <u>მე-5 პუნქტები</u>

3. დანართი N4-ით განსაზღვრული ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ,,ჩარჩო გეგმის" შემუშავებამდე აღნიშნულ ტერიტორიაზე შეზღუდულია:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება;

ბ) დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა;

გ) ამ დადგენილებით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით;

დ) მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა);

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება დანართი N4-ით განსაზღვრულ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ:

ა) საცხოვრებელ ზონებზე (სზ), რომლისთვისაც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა" და რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა (წითელი ხაზ(ებ)ი) და განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები);

ბ) მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილია კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის;

გ) მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე;

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ვრცელდება ასევე იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიმართაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაინტერესებული პირების განცხადებები, თუმცა ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ამ პუნქტის ამოქმედების დროისათვის მიღებული არ არის.“

შესაბამისად, დადგენილების პროექტის მე-3 მუხლი უნდა განისაზღვროს მე-2 პუნქტად.

2) დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტში გაიწეროს კონკრეტული ვადა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური კვლევის, მის საფუძველზე ურბანული განვითარების კონცეფციისა და ,,ჩარჩო გეგმის“ შემუშავების შესახებ.

3) **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 23 აპრილის №12-031811321-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით წარმოდგენილი ცვლილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით (განმარტებითი ბარათის მე-2 პუნქტით) გათვალისწინებული წინადადება წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს წარედგინა მოქ.: ნ. კეზევაძის №AR1562191 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, მუსხელიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.10.001.044 და 01.17.10.001.048, საერთო ფართობით: 3 738 კვ.მ.); საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი კვარტალი, შესაბამისი ფუნქციური ზონით - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სამხრეთით ესაზღვრება დ. კვაჭანტირაძის ქუჩა, ხოლო დასავლეთით, საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული სარეკრეაციო სივრცე. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთები სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2013 წელს

გასხვისდა აუქციონის წესით, რა დროსაც საკადასტრო ერთეულებზე - საკადასტრო მიწის ნაკვეთების 60%-ზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ხოლო დანარჩენ 40%-ზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). იმავე წელს, განხორციელდა ფუნქციური ზონის საზღვრების დაზუსტება და ორივე მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია საცხოვრებელი ზონა 6-ის უშუალო მიჯნაზე მდებარე ერთ-ერთ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.17.10.001.048, ფართობი: 1819 კვ.მ.) შეეცვალოს ფუნქციური ზონა - სარეკრეაციო ზონა 2 საცხოვრებელი ზონა 6-ით, ხოლო მეორე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №№01.17.10.001.044, ფართობი: 1919 კვ.მ.) დარჩეს სარეკრეაციო ზონა 2-ის გავრცელების არეალში.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 23 აპრილის №12-031811321-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე